ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 11

ქ. თბილისი

30.07.2018

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

   1. **მანანა რატიანი** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე

   2. **გრიგოლ მურღულია** - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების

   ცენტრის" სკოლის პარტნიორი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

   3. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, საბჭოს სხდომის მდივანი

   4. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის" მასწავლებელი;

   5. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის მართვისა და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

   6. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის"

პროგრამების მენეჯერი;

7. **ხათუნა ბარაბაძე** - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის დირექტორი;

8. **არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" აკადემიური დირექტორი;

9. **დავით მალაზონია** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

2. **სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

ლევანი გოგიჩაიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

შალვა ქენქაძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტაჟიორი.

3. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

1. შპს სკოლა-გიმნაზია პირველი

ნინო ოქროჯანაშვილი - სკოლის დირექტორი

მანანა ბაკურაძე - სკოლის დამფუძნებელი

2. შპს ხერხემი

ბელა კაპანაძე - სკოლის დირექტორი

3. შპს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლა

ლალი მელივა - სკოლის დირექტორი

4. შპს თბილისის თავისუფალი სკოლია

ამირან ამბროლაძე - სკოლის დირექტორი

თათია ზარქუა - იურისტი

ზაზა ბერიშვილი

5. შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლა

მარინა მჭედლიშვილი - სკოლის დირექტორი

თამარ ესიტაშვილი - სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი

6. შპს იუჯი სკოლა

ფარნაოზ კახიძე - ადმინისტრაციის უფროსი

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

თამარ ამზაშვილი

ნინო ბალანჩივაძე

დავით ლიპარტელიანი

ნოდარ ანგურიძე

ლია კობესაშვილი

მანანა ალიბეგაშვილი

ირინა დვალი

პეტრე ბაბილუა

ნოდარ ანგურიძე

ცირა ნიკოლაშვილი

ნელი ნასყიდაშვილი

მაკა ტუკვაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე მანანა რატიანი.

სხდომა გაიხსნა 17:20 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს სკოლა-გიმნაზია პირველში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ხერხემში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

3. შპს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თავისუფალი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს იუჯი სკოლისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლალი შაიშმელაშვილმა საბჭოსთან დააყენა შუამდგომლობა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ განსახილველ საკითხებს დამატებოდა „შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School" - ის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №33 გადაწყვეტილებაში და N 9 ოქმის მესამე ნაწილში, როგორც ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილში და „ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 13 ივლისის №41 გადაწყვეტილებაში და №10 ოქმის მეექვსე ნაწილში, როგორც ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხების განხილვა. შუამდგომლობას ერთხმად დაეთანხმნენ საბჭოს წევრები და დაამტკიცეს შეცვლილი დღის წესრიგი:

1. შპს სკოლა-გიმნაზია პირველში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ხერხემში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თავისუფალი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

6. შპს იუჯი სკოლისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

7. „შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School“ - ის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №33 გადაწყვეტილებაში და N 9 ოქმის მესამე ნაწილში, როგორც ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილში ცვლილებების შეტანის შესახებ

8. „ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 13 ივლისის №41 გადაწყვეტილებაში და №10 ოქმის მეექვსე ნაწილში, როგორც ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილში, ცვლილებების შეტანის შესახებ

1.შპს სკოლა-გიმნაზია პირველში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, თამარ ამზაშვილმა და ნინო ბალანჩივაძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

1.1 ექსპერტმა თამარ ამზაშვილმა აღნიშნა, რომ გიმნაზია პირველის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 12 ოქტომბრის N109 გადაწყვეტილების და N27 ოქმის მესამე ნაწილის, როგორც ამ გადაწყვეტილების განუყოფელი ნაწილის შესაბამისად, შპს სკოლა-გიმნაზია პირველში განმეორებით განხორციელდა მონიტორინგის ვიზიტი. სკოლა შემოწმდა ორი სტანდარტის შესაბამისად. სკოლასთან მეორე სტანდარტთან დაკავშირებით შენიშვნა ექსპერტებს არ ჰქონიათ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისით საკმოად განვითარებული და წინ წასული იყო. დაწესებულებას მოგვარებული ჰქონდა გათბობის სისტემის პრობლემაც.

შენობა-ნაგებობაში, სადაც განთავსებული იყო სკოლა გიმნაზია „პირველი", განსაზღრული იყო 16 საკლასო ოთახი. აქედან ერთ-ერთ საკლასო ოთახში იყო კომპიუტერული კლასი, მუსიკისა და ცეკვის გაკვეთილები კი ტარდებოდა ერთ საკლასო ოთახში, რომელიც სააქტო დარბაზის ფუნქციასაც ითავსებდა. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილი იყო 248

ინდივიდუალური მერხითა და სკამით, მასწავლებლის მაგიდებით, სასკოლო დაფებითა და შესაბამისი თვალსაჩინოებით. დამატებით სკოლას ჰქონდა 11 ორადგილიანი მაგიდა და 33 სკამი (დასაწყობებული). საბოლოო ჯამში, სკოლას ჰქონდა 259 მერხი და 281 სკამი. ამის გარდა, სკოლაში სტანდარტის შესაბამისად იყო მოწყობილი ყველა სხვა სასწავლო დანიშნულების ინფრასტრუქტურა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

1.2. საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის პირველ ქვეპუნქტთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის სასწავლო გეგმა იყო წესრიგში და იგი პასუხობდა შესაბამის მოთხოვნებს და მასში წარმოდგენილი იყო ყველა საჭირო დოკუმენტაცია. ამის გარდა თამარ ამზაშვილმა აღნიშნა რომ სკოლა იურიდიული თვალსაზრისით ყველანაირად გამართული იყო. თუმცა შინაარსოვბრივ მხარეში გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები.

ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა მიმდინარე წლის 15-23 მარტს, სკოლაში ჩატარებულ ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/ კლასების/ სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასებში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდებზე. სულ მონაწილეობა მიიღო 6 მოსწავლემ. აქედან 3 დაწყებითი საფეხურის მოსწავლე იყო, 3- საშუალო საფეხურის. ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა საშუალო საფეხურის მოსწავლეების საგამოცდო შედეგები, რამაც განაპირობა მათი პირადი საქმეებისა და სხვა თანმდევი დოკუმენტის შესწავლის აუცილებლობა.

შედარებითმა ანალიზმა აჩვენა მთელი რიგი შეუსაბამობა. მაგ: ერთ-ერთი მოსწავლის (უცხო ქვეყნის მოქალაქე) პირად საქმეში იდო მე-5 კლასში მისი სტატუსის შეჩერების (09.02.2017 წელი) და 2018 წლის 7 თებერვალს ამავე კლასიდან ამორიცხვის ბრძანება. მის პირად საქმეში ფიქსირდებოდა ჩანაწერი ფანქრით, რომ მოსწავლე ჩარჩენილი იყო მეხუთე კლასში. 2018 წლის 8 თებერვალს სკოლაში მოსული იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება 5 საგანში და სკოლამ ინდივიდუალური გეგმების საფუძველზე მიიღო მე-10 კლასში. ინდივიდუალური გეგმები იყო ძალიან ზოგადი, ამასთანავე, მოსწავლესთან გასაუბრებამ გვაჩვენა, რომ იგი ვერ ფლობდა ქართულს იმ დონეზე, რომ შეეძინა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა

და უნარები, ასევე, მისსავე ინდივიდუალურ გეგმაში გაწერილ გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნებში აღწერილი უნარები (დანართი N1 მოსწავლის პირადი საქმე Nა/68).

ერთ-ერთ მოსწავლეს ექსტერნის წესით გამოცდა ჩაბარებული აქვს IX კლასის მეორე, X კლასი ორივე და XI კლასის პირველი სემესტების პროგრამებით განსაზღვრული საგნები. სკოლის დირექტორის მიერ 2018 წლის 1 მარტს გამოცემულია ბრძანება N2-07 ექსტერნის ფორმით გამოცდების ჩატარების განრიგისა და საგამოცდო კომისიის დამტკიცების შესახებ, გამოცდების განრიგში იყო დარღვევა. მაგ. ზემოხსენებული მოსწავლის საგამოცდო გრაფიკი და პროცედურა დარღვეული იყო. მას გამოცდა IX და XI კლასებში დანიშნული ჰქონდა (ქართული, ისტორია და ა.შ) ერთ დღეს, მაშინ როცა არ ჰქონდა სრულად ჩაბარებული მეცხრე კლასის პროგრამა, არ იყო ოფიციალური დადასტურება მისი წარმატებით დაძლევისა და მეათე კლასის გამოცდებზე დაშვების შესახებ. იმავე მოსწავლეს, X კლასის გამოცდა, დანიშნული ჰქონდა XI კლასის გამოცდის ჩაბარებიდან მესამე დღეს. არსად დასტურდებოდა მეცხრე და მეათე კლასების დაძლევისა და შემდგომ კლასში გადასვლის უფლება (დანართი N2 სკოლა-გიმნაზიის ბრძანება გამოცდების ჩატარების განრიგისა და კომისიის დამტკიცების შესახებ).

ექსპერტმა თამარ ამზაშვილმა აღნიშნა, რომ ამ ხარვეზებმა გამოიწვია საგამოცდო ტესტებით დაინტერესება, რომელთა ნახვამაც გამოკვეთა ძალიან დაბალი სააზროვნო უნარები. ასევე პრობლემა იყო ინდივიდუალური გეგმისა და ტესტის შუესაბამობა. მიუხედავად იმისა რომ ტესტი სწორად იყო შედგენილი, ხარვეზი დაფიქსირდა ინდივიდუალურ გეგმაში.

საბჭოს წევრი, ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა ინდივიდუალური გეგმის შექმნით, დიაგნოსტირებითა და საჭიროებების დადგენით, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პირველ რიგში დგინდებოდა, რომელი კლასი ჰქონდა ბავშვს დამთავრებული და რა საგნები ჰქონდა ჩაბარებული, ამის შემდეგ მოწმდებოდა ქართული ენის ცოდნის კომპეტენციები, ამის დადგენა ხდებოდა გასაუბრებით. ამ შესაბამისობის დადგენის შემდეგ, სკოლის წარმომადგენლის აღნიშვნით, ინდივიდუალური გეგმის დასადგენად ისინი იწვევდნენ პედაგოგებს. თუმცა სკოლაში ექსპერტების ვიზიტის და მათი რეკომენდაციების შემდეგ სკოლის წარმომადგენლის აღნიშვნით ისინი ითვალისწინებდნენ ექსპერტების შენიშვნებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, არჩილ სუმბაძემ დასვა კითხვა, წინა ვიზიტის დროს არსებული დარღვევების და ბოლო ვიზიტისას გამოკვეთილი ხარვეზების მსგავსების შესახებ. ასევე,

დაინტერესდა უცხო ეროვნების ბავშვების მიღება-ჩარიცხვის წესთან დაკავშირებით. ექსპერტმა აღნიშნა რომ წინა შემთხვევაში, სკოლაში ფიქსირდებოდა ბავშვების ჩარიცხვის შემთხვევები მაშინ, როდესაც მათ არ იცოდნენ ქართული, ბოლო ვიზიტისას ბავშვებთან გასაუბრების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ზოგიერთმა მოსწავლემ გარკვეულწილად იცოდა ქართული ენა, ხოლო რაღაც ნაწილმა ნაკლებად. ექსპერტმა დაადასტურა, რომ ამ შემთხვევაშიც ადგილი ჰქონდა წინა ვიზიტისას გამოვლენილ იდენტურ პრობლემას.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ დასვა კითხვა უსაფრთხო გარემოსთან დაკავშირებით, რაზეც ექსპერტმა უპასუხა რომ სკოლაში შექმნილი იყო უსაფრთხო გარემო ყველა ეროვნების ბავშვისთვის, მიუხედავად მათი ენობრივი თუ ეთნიკური განსხვავებისა.

ინკლუზიური განათლების სისტემასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ყველაფერი წესრიგში ჰქონდა, მასწავლებლები ძალიან კარგად ართმევდნენ თავს დაკისრებულ მოვალეობას, რასაც ხელს უწყობდა სასკოლო გარემო.

ექსპერტმა სკოლას მისცა ყველა საჭირო რეკომენდაცია რათა მათ შეეცვალათ სასწავლო გეგმა და ყველა არსებული ხარვეზი გამოესწორებინათ ეს ეხებოდა როგორც შემაჯამებლებს ასევე ინდივიდუალურ გეგმას.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა-გიმნაზია პირველის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 1

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს სკოლა-გიმნაზია პირველის (ს/კ:243571639) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს ხერხემში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გრიგოლ მურღულიამ 18:00 საათზე დატოვა სხდომა.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, დავით ლიპარტელიანმა და ნოდარ ანგურიძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

2.1. ექსპერტ დავით ლიპარტელიანის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით არსებითი სახის ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

მასწავლებლები აფასებდნენ მოსწავლეების მიერ სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას შემაჯამებელი დავალებით. სკოლას შემუშავებული ჰქონდა შემაჯამებელი დავალებების ანალიზის სპეციალური ფორმა, მასში ასახული იყო ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პუნქტები. კერძოდ: შეფასების მეთოდი, შეფასების კრიტერიუმები, თითოეული მოსწავლის შეფასება ქულებში, მასწავლებლის ანალიზი კლასის მიერ შედეგების მიღწევის შესახებ, ანალიზზე დაყრდნობით, კლასის მიერ საგნობრივი სტანდარტის კონკრეტული შედეგის მიღწევაში გამოვლენილი სირთულეების დაძლევისათვის გადასადგმელი ნაბიჯები. ვიზიტის დროს შემოწმდა მასწავლებლების მიერ კლასების მიხედვით ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი

დოკუმენტაცია: ანალიზი და მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული ნამუშევრები. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ავსებდნენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმას, ხოლო შემდეგ მოსწავლეებთან მუშაობდა გამოკვეთილი პრობლემების დაძლევისთვის. საჭიროებებიდან გამომდინარე მასწავლებლები მოსწავლეებს ძირითადად დამატებით მეცადინეობებს უტარებდნენ.

აღსანიშნავი იყო, რომ პირველ კლასში არ ისწავლებოდა საგანი ინფორმაციული და საკომუნიკაცია ტექნოლოგიები, რომლისთვისაც ეროვნული სასწავლო გეგმით, წლის განმავლობაში განსაზღვრული იყო კვირაში 0.5 საათი.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ გაითვალისწინეს ექსპერტთა რეკომენდაცია და შეიტანეს ცვლილება სასწავლო ბადეში და მეორე კლასში მოხდებოდა მოსწავლეებისთვის დანაკარგის ანაზღაურება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

2.2. ექსპერტ დავით ლიპარტელიანის განცხადებით, სკოლას ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 175 მოსწავლით და ვიზიტის დასაწყისისთვის მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ გაზაში სკოლას უფიქსირდებოდა 157 მოსწავლე. ამ რაოდენობაში არ იყო ჩათვლილი 14 მეთორმეტეკლასელი, რომლებიც უკვე ამორიცხული იყვნენ.

სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის მართვის საინფორმაციო სისტემის გაზაში დაფიქსირებული იყო 33 თანამშრომლი. მათგან ერთი ანაზღაურების გარეშე შვებულებაში იყო. 7 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი იყო; დირექტორი, სასწავლო პროცესის კოორდინატორი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, გახანგრძლივებულის მასწავლებელი, ექთანი და სამეურნეო ნაწილის გამგე. დირექტორი სასწავლო პროცესის კოორდინატორი და ბიბლიოთეკარი ამავე დროს პედაგოგებიც იყვნენ.

28 პედაგოგიდან 8 უფროსი მასწავლებელი იყო, 13 პრაქტიკოსი, ხოლო 7 სტატუსის გარეშე.

აღსანიშნავი იყო, რომ ამ 7 პედაგოგიდან ერთი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი იყო და ასწავლიდა ისტორიას. ამ პედაგოგს „სქემის“ მიხედვით შეესაბამებოდა უფროსი მასწავლებლის სტატუსი, თუმცა სკოლას დღემდე არ მიუმართავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორისთვის სქემაში ჩართვის თხოვნით.

მეორე მასწავლებელს დადასტურებული ჰქონდა საგნობრივი კომპეტენცია და განაცხადა, რომ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში ამთავრებდა მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიან პროგრამას; მესამე მასწავლებელს დადასტურებული ჰქონდა საგნობრივი კომპეტენცია. მეოთხე მასწავლებელი 2014 წლიდან ამავე სკოლაში ასწავლიდა სპორტს (ჭადრაკს) და ვერც მან და ვერც სკოლის წარმომადგენელმა ვერ ახსნა რატომ არ განაწილდა სქემაში 2015 წელს.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ ჭადრაკის მასწავლებლის ჩართვა ვერანაირად ვერ მოხერხდებოდა ავტომატურად.

დანარჩენი სამი პედაგოგიდან ერთს გავლილი ჰქონდა 60 კრედიტიანი მასწავლებლის გადამზადების პროგრამა 2015 წელს, მანამდე ვიდრე ამ პროგრამაზე ჩაბარების წინა პირობად გამოცხადდებოდა საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება. ერთმა განაცხადა, რომ ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა, ხოლო მეორემ განაცხადა, რომ ამ სკოლაში მუშაობამდე ახალციხის მე-6 საჯარო სკოლაში მუშაობდა, თუმცა ამ ორმა უკანასკნელმა, დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ წარმოადგინა.

უნდა აღინიშნოს, რომ დანარჩენი პედაგოგები შერჩეულნი იყვნენ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ხერხემის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ხერხემის (ს/კ:224089420) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3.შპს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლია კობესაშვილმა და მანანა ალიბეგაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

3.1 ექსპერტმა ლია კობესაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის N170-ში. აღნიშნულ ფართზე მდებარეობდა შენობა N1 საერთო ფართით 1078, 48კვ.მ, შენობა N2, საქვაბე, საერთო ფართით 12კვ.მ. და ღია სპორტული მოედანი. ღია სპორტული მოედანი მდებარეობდა შიდა ეზოში. მესაკუთრე იყო შპს სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი". სკოლა იყო მოიჯარე, იჯარის საგანს წარმოადგენდა მეიჯარის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შენობა-ნაგებობების ნაწილი-შენობა-ნაგებობა N1, საერთო ფართით 1078, 48კვ.მ. იჯარის ხელშეკრულება შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედსა და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლას შორის გაფორმებული იყო 2016 წლის 03 მაისს. იჯარით სარგებლობის უფლება საჯარო რეესტრში ფიქსირდებოდა 03/05/2019 წლამდე.

ექსპერტმა სკოლის გაკონტროლებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სკოლის ძირითად შესასვლელს აკონტროლებდა 2 ვიდეოკამერა, რომელთა პარამეტრებიც არ ემთხვეოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებით განსაზღვრულ პარამეტრებს. მაგ. იყო 2 მეგაპიქსელიანი. აღნიშნული კამერები ასევე აკონტროლებდნენ სათადარიგო გამოსასვლელს სკოლის შენობიდან, რომელიც ძირითადად არ გამოიყენებოდა. სკოლის შიდა ეზოში იყო ღია სპორტული მოედანი. სკოლის შიდა ეზო შენობებით იყო შემოსაზღვრული. აღმაშენებლის ქუჩიდან მოხვედრა შეიძლებოდა თაღით, რომელიც დიდი რკინის ჭიშკრით იკეტებოდა. სკოლის შიდა ეზოც და ღია სპორტული მოედანიც კონტროლდებოდა ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით. ვიზიტის პერიოდში სკოლამ გადარიცხა თანხა სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი პარამეტრების ვიდეოკამერების შესაძენად. სკოლაში იყო 2 მულტიფუნქციური პრინტერი, 7 პერსონალური კომპიუტერი, 12 ლეპტოპი და 10 ბუქი. საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო ერთადგილიანი საკლასო მერხებით, სკამებით (ჯამში 373 კომპლექტი).

საბჭოს წევრი ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა საკლასო ოთახების ფართით, კონკრეტულად კი ყველაზე მცირე ოთახის ზომით, რომელშიც მიმდინარეობდა საგაკვეთილო პროცესი. ექსპერტმა ლია კობესაშვილმა აღნიშნა, რომ ასეთი ოთახების ფართი იყო 18კვ.მ - დან - 25კვ.მ მდე. ხათუნა ბარაბაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ მაგალითად 18 ბავშვის ასეთ მცირე ფართზე განლაგება მიზანშეწონილად არ მიაჩნდა.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ იკითხა, რამდენი საკლასო ოთახი ჰქონდა სკოლას, რაზეც ექსპერტებმა უპასუხეს, რომ კლასების საერთო რაოდენობა შეადგენდა 21 საკლასო ოთახს.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ სკოლის მიერ მოთხოვნილი კონტიგენტიც 360 ბავშვამდე გაზრდა აღნიშნული სასკოლო რესურსებით არ იქნებოდა მიზანშეწონილი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალური რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

3.2 ექსპერტის თქმით, სასკოლო სასწავლო გეგმა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან იყო შესაბამისობაში. სკოლაში გაძლიერებულად ისწავლებოდა უცხოური ენები, ასევე კატეხიზმო I-VI კლასებში თითო საათი.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ იყო თუ, არა კატეხიზმოს სწავლება სავალდებულო, სკოლის წარმომადგენლები კითხვას დაეთანხმნენ.

საბჭოს წევრი გრიგოლ მურღულია დაინტერესდა, რამდენად იყო აღქმადი პირველკლასელებისთვის კატეხიზმოს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თემატიკა. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს პროგრამა შემუშავებული იყო სტანდარტის შესაბამისად, სკოლის ექსპერტების მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა რატიანმა იკითხა, იყო თუ არა ეს საგანი სამინისტროსთან შეთანხმებული, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა დადებითად უპასუხა.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავა დაინტერესდა პირველკლასელების დღიური დატვირთვით. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დღიურად პირველ კლასელებს ჰქონდათ 5-6 საგაკვეთილო საათი. მანანა რატიანის კითხვაზე, რამდენ წუთიანი იყო პირველ კლასელი ბავშვების გაკვეთილის ხანგრძლივობა, სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გაკვეთილი გრძელდებოდა 40 წუთის განმავლობაში. გრიგოლ მურღულიამ აღნიშნა, რომ კანონით გათვალისწინებულივ იყო 35 წუთი, ხოლო რევაზ აფხაზავას თქმით, აღნიშნულ დატვირთვას პირველკლასელ ბავშვებზე საბოლოო ჯამში უარყოფითი გავლენა შეიძლებოდა ჰქონოდა.

საბჭოს თავჯდომარემ, მანანა რატიანმა გააკეთა დათქმა და აღნიშნა, რომ განხორციელდებოდა მონიტორინგი, რომელიც სკოლაში შეამოწმებდა რეგულაციებს, რამდენად იქნებოდა დარეგულირებული მცირე ფართში ბავშვების შესაბამისი რაოდენობა. მან ასევე, კატეხიზმოსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აღნიშნული საგნის სასწავლო გეგმა აუცილებლად უნდა წარმოედგინა სკოლას, ასევე ამ საგნის ასაკთან შესაბამისობის დასადგენად სკოლას უნდა გაევლო ფსიქოლოგებთან კონსულტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ

კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 320-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლას (ს/კ:204571588) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 320-ით.

4. შპს თავისუფალი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ირინა დვალმა და პეტრე ბაბილუამ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

4.1 ექსპერტმა ირინა დვალმა აღნიშნა, რომ დაწესებულება შპს თავისუფალი სკოლა მდებარეობდა მისამართზე - ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №240. სკოლა განთავსებული იყო ოთხსართულიანი შენობის პირველ ორ სართულზე. სკოლას გაფორმებული ჰქონდა საიჯარო ხელშეკრულება შენობის მესაკუთრე შპს „აგრომეტთან" 2033 წლის 1 სექტემბრამდე. სკოლა გეგმავდა სასწავლო პროცესის წარმართვას შენობის პირველ და მეორე სართულებზე. მეორე სართულზე განთავსებული იყო 26 საკლასო ოთახი, 3 ადმინისტრაციის ოთახი და სამასწავლებლო. სკოლას შეძენილი ჰქონდა 414 ცალი ინდივიდუალური სასკოლო მერხი და სკამი. ყველა საკლასო ოთახისთვის შეძენილი იყო საჭირო ინვენტარი: დაფები, კარადები, თაროები და სხვ. სკოლაში იყო სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით. სკოლის საკუთრებაში იყო სულ 24 კომპიუტერი, აქედან 4 ადმინისტრაციის განკარგულებაში, 20 - სასწავლო პროცესისათვის იყო განკუთვნილი. ყველა კომპიუტერი იყო ინტერნეტში ჩართული. ასევე სკოლას შეძენილი ჰქონდა 1 პრინტერი და 5 ტელევიზორი. სკოლის შენობის პირველ

სართულზე 2 სპორტული დარბაზი იყო, რომლებიც აღჭურვილი იყო გასახდელებით, ცალკე ვაჟებისათვის, ცალკე - გოგონებისათვის, ტუალეტებით. დარბაზისთვის შეძენილი ჰქონდათ სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საჭირო სპორტული ინვენტარი. გარდა ამისა, სკოლის მიმდებარედ იყო სპორტული მოედანი, რომელიც შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის საკუთრება იყო. სკოლას აღნიშნული მოედნის გამოყენებაზე გაფორმებული ჰქონდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი უნივერსიტეტთან.

სკოლას ჰქონდა ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის, კერძოდ, დაწესებულების ერთ-ერთი შესასვლელს ჰქონდა პანდუსი, ხოლო საკლასო ოთახებში შესასვლელი ზღურბლები და იატაკის დონეები ხელს უწყობდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის თავისუფალ გადაადგილებას.

სკოლაში ასევე იყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის განკუთვნილი ადაპტირებული სველი წერტილი. ამის გარდა სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ იგეგმებოდა სკოლაში ლიფტის გაკეთება, რაც უფრო მეტად გაუადვილებდა გადაადგილებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

4.2 ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა აბსოლუტურ თანხვედრაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

სასწავლო გეგმის დანართად წარმოდგენილი იყო დამატებითი სავალდებულო საგნების პროგრამები თავისი მიზნებითა და შესაბამისი შედეგებით, სწავლების მეთოდებით, შესასწავლი თემებითა და საათობრივი განაწილებით. ესენი იყო კვირაში ერთი საათი სახალისო მათემატიკა და ტექნოლოგიები. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი მიზანი იყო სწავლებისა და სწავლის ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც დაწყებითი განათლების მისაღებად საუკეთესო იქნებოდა საქართველოში; შესძენდა მოსწავლეებს განათლების მომდევნო საფეხურზე გადასვლისათვის საჭირო ისეთი ცოდნას და უნარებს, როგორებიცაა წერა-კითხვა, მარტივი არითმეტიკული მოქმედებების შესრულება, ასაკის შესაბამისი რაოდენობრივი და თვისობრივი აზროვნება და ა.შ. ჩამოუყალიბებდა მოსწავლეებს თავისუფალ აზროვნებაზე

დაფუძნებულ ღირებულებებს, რომლებიც გარემოში ადაპტაციისა და ცხოვრებისეული პრობლემების შემოქმედებითად გადაწყვეტის საშუალებას მისცემდა მათ;

საბჭოს წევრმა სკოლის წარმომადგენელს ჰკითხა, ხომ არ ჰქონდათ გათვალისწინებული რომელიმე სკოლის მოდელი, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ სხვადასხვა საკოლებიდან ჰქონდათ აღებული საუკეთესო მაგალითები საკუთარი სკოლისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

4.3 ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის დირექტორის ბრძანებების მიხედვით, სკოლაში სულ 52 თანამშრომელი იყო. დირექცია, ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალი, საგნის პედაგოგები. დირექცია მოიცავდა დირექტორს, დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში, დირექტორის მოადგილეს ადმინისტრაციულ დარგში, ხოლო ადმინისტრაციის წევრები იყვნენ: ფინანსური მენეჯერი, სამეურნეო მენეჯერი, დირექტორის ადმინისტრაციული თანაშემწე, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ტრანსპორტირების მენეჯერი, მშობლებთან ურთიერთობის მენეჯერი, ექიმი, ფსიქოლოგი, ქსელის ადმინისტრატორი, ბიბლიოთეკარი. დამხმარე პერსონალი იყო: დამლაგებელი და დაცვა. სკოლაში 38 საგნის პედაგოგი იყო. მათგან 7 ამავე დროს იყო დამრიგებელი, 1 კი ადმინისტრაციის თანამშრომელი. სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი იყვნენ ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის მასწავლებელთაგან 1-ს წამყვანი მასწავლებლის სტატუსი ჰქონდა, 21-ს - უფროსი მასწავლებლის, ხოლო 10-ს პრაქტიკოსი მასწავლებლის.

გარდა ამისა, 3 მასწავლებელს, რომლებსაც ჰქონდათ დოქტორის აკადემიური ხარისხი, სქემაში ჩართვის შემდგომ მიენიჭებოდათ უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ხოლო 3 მასწავლებელს- ჩინური ენის, გერმანული ენისა და ინგლისური ენის ე.წ. Native Speaker მასწვალებლებს არ ჰქონდათ სტატუსი.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ სკოლაში მოსწავლეების ჩარიცხვის წესით. მათ სკოლის წარმომადგენლებს დაუსვეს კითხვა, ხომ არ ხდებოდა სკოლაში სელექციური მიღება და ზოგადად არსებობდა, თუ, არა სკოლაში ბავშვების მიღების წესი, რაც გულისხმობდა რაიმე სახის შერჩევას. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ პირველი კლასის შემდგომ სკოლაში მისაღებად

მოსწავლესთან ხდებოდა გასაუბრება, რათა მომხდარიყო ბავშვის ცოდნისა და უნარების ზუსტი დიაგნოსტირება. სკოლის წარმომადგენელმა ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულების მიზანი არ იყო შერჩევაზე დაფუძნებული ნიჭიერთა სკოლის შექმნა.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობით დაუშვებელია სკოლაში მიღებისას რაიმე სახის დისკრიმინაცია. ბავშვებთან გასაუბრება მხოლოდ იმ მიზნით უნდა მომხდარიყო, რომ სკოლას შეემუშავებინა სტრატეგია ამ ბავშვების ინდივიდუალური სწორი განვითარებისთვის.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყოველი შენიშვნა თუ რეკომენდაცია მათი მხრიდან გათვალისწინებული იქნებოდა და ისინი მაქსიმალურად ეცდებოდნენ ყველა ამ რეკომენდაციის შესრულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა არსებული რესურსების გათვალისწინებით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 400 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს თავისუფალი სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თავისუფალი სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თავისუფალ სკოლას (ს/კ:430024939) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

5.შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნოდარ ანგურიძემ და ცირა ნიკოლაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

5.1. ექსპერტ ნოდარ ანგურიძის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, სასკოლო სასწავლო გეგმით გაწერილი შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სასკოლო სასწავლო გეგმას ერთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თითოეული საგნობრივი ჯგუფისათვის.

სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი იყო მოსწავლის მიღწევის შეფასების წესები, შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და პირობები. შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის, მოსწავლის აკადემიური მიღწევის, შეფასების წესების მიხედვით მოსწავლე ვალდებული იყო შეესრულებინა კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებები. გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენა მას შეეძლო მხოლოდ სკოლის მიერ განსაზღვრული რომელიმე წინაპირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში: თუ წარმოადგენდა ჯანმრთელობის ცნობას, მშობლის ახსნა-

განმარტებას, საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელ ცნობას. შემაჯამებელი დავალების აღდგენის სკოლის მიერ განსაზღვრული წესი ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის 32-ე მუხლის მე-11 პუნქტს: „თუ მოსწავლე არ შეასრულებდა რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, სკოლა ვალდებული იყო, მიეცა მისთვის გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და მისი ჩატარების ფორმა განისაზღვრებოდა სასკოლო სასწავლო გეგმით."

ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში ბრძანების საფუძველზე შევიდა ცვლილება აღნიშნულ წესში და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „თუ მოსწავლე არ შეასრულებდა რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, სკოლა ვალდებული იყო მოსწავლეს მისცემოდა გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის საშუალება".

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

5.2.ექსპერტ ნოდარ ანგურიძის განცხადებით, შპს „წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლა მდებარეობდა მისამართზე: ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი 9ბ. სკოლა იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობდა 577,27 კვ.მ. ფართს ორსართულიანი შენობის პირველ სართულზე.

შენობას გააჩნდა ეზო, რომელიც შემოღობილი იყო რკინის გისოსით და დაცული იყო გარეშე პირთაგან. შენობის მეორე სართული დაკავებული იყო ავტორიზაციაშეჩერებული კერძო სკოლის „კანდელის" მიერ. წმ. ბარბარეს სახელობის სკოლის დირექტორის განმარტებით, „კანდელს" ამოწურული ჰქონდა იჯარის ვადა და უახლოეს პერიოდში უნდა გაეთავისუფლებინა შენობა. „კანდელის" მიერ მეორე სართულის გათავისუფლებისთანავე შენობას მთლიანად აიღებედნენ იჯარით, რაც შეთანხმებული იყო შენობის მეპატრონეებთან სიტყვიერად. სკოლის დირექტორმა ასევე განმარტა, რომ დაფიქსირებული ხარვეზების დიდი ნაწილი გამოწვეული იყო იმით, რომ სკოლა ავტორიზაციამდე ვარაუდობდა მეორე სართულის დაკავებას და იქ განთავსებული რესურსები გათვალისწინებული ჰქონდა საავტორიზაციოდ მზადების დროს, მაგრამ „კანდელმა" დააგვიანა ფართის დაცლა.

დაწესებულებას ჰქონდა 12 საკლასო ოთახი; ლაბორატორიული კლასი; სამასწავლებლო, რომელიც ინტეგრირებული იყო კომპიუტერულ კლასთან; ბიბლიოთეკა; სპორტული

დარბაზი; ფართი ბუფეტისთვის და დირექტორის სამუშაო ოთახი, რომელშიც ამავე დროს განთავსებული იყო სამედიცინო ოთახი.. საკლასო ოთახებში განლაგებული იყო ინდივიდუალური მერხები, სასკოლო დაფები და მასწავლებლის მაგიდები და სკამები. მხოლოდ საკლასო ოთახებში განთავსებული იყო 175 ინდივიდუალური მერხი და სკამი. საკლასო ოთახების ფართობი არათანაბარი იყო. ყველაზე პატარა ზომის კლასის ფართობი 13,6 კვ.მ.-ი იყო, ყველაზე დიდი 24.4 კვ.მ , რის გამოც მერხები არათანაბრად იყო განაწილებული. ყველაზე მცირე კლასში მათი რაოდენობა იყო 9, ყველაზე დიდ კლასში - 20. აღსანიშნავი იყო, რომ ამ კლასებში ერთი მერხის დამატებაც შეუძლებელი იყო და ეს იყო მაქსიმალური რაოდენობა მერხებისა, რაც შეიძლება დადგმულიყო.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში აქტივობებისთვის საერთოდ არ დარჩებოდა ფართი, რაც მიუღებელი იყო.

ექსპერტის განცხადებით, ეს არ ყოფილა ერთადერთი პრობლემა სკოლაში. მისი თქმით, შენობაში 2 ინდივიდუალური ერთადგილიანი სველი წერტილი იყო. ერთი სველი წერტილი ვაჟებისთვის იყო განკუთვნილი, ხოლო მეორე გოგონებისთვის, მასწავლებლებისთვის და სსსმ მოსწავლისთვის. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გაეზარდათ სველი წერილების რაოდენობა, ამასთან, მასწავლებლების სველი წერტილი გამიჯნულიყო მოსწავლეთა სველი წერტილისგან.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ სკოლის წარმომადგენელს სთხოვა განემარტა, როგორ აპირებდა სკოლა ფუნქციონირებას 2 სველი წერტილით. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და დაიწყო სველი წერტილების მშენებლობა, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც გადაუგზავნა ექსპერტს.

ექსპერტ ნოდარ ანგურიძის თქმით, სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს სხდომის დაწყებამდე რამოდენიმე საათით ადრე მართლაც მიიღო დოკუმენტაცია, თუმცა აღნიშნა, რომ დოკუმენტაციით დასტურდებოდა მხოლოდ ერთი უნიტაზის შესყიდვა, მას კი ჰქონდა მოლოდინი, რომ სკოლა გაითვალისწინებდა მის რეკომენდაციას სრულყოფილად და მიაშენებდა სველ წერტილებს საკმარისი რაოდენობით.

საბჭოს თავმჯდომარემ 20:40 საათზე გამოაცხადა შესვენება.

საბჭოს სხდომა გაგრძელდა 21:00 საათზე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 150 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას არ დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები და საბჭოს წევრები. საკითხის განხილვის შემდეგად შეთანხმდნენ, რომ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, მონიტორინგის პირობით, სკოლის რესურსების შესაბამისი ოპტიმალური რაოდენობა იქნებოდა 100 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100 - ით განსაზღვრის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლას (ს/კ405159590) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

6.შპს იუჯი სკოლისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

საბჭოს წევრმა არჩილ სუმბაძემ 21:20 წუთზე დატოვა სხდომა.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნელი ნასყიდაშვილმა და მაკა ტუკვაძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

6.1. ექსპერტ ნელი ნასყიდაშვილის განცხადებით, შპს იუჯი სკოლა მდებარეობდა ქალაქ ბათუმში, ჯავახიშვილის ქ. №5-ში, 4 სართულიან შენობაში. შენობა-ნაგებობების საერთო ფართი იყო 1556. 00 კვ. მ. სკოლას ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით არსებითი ხარვეზები არ გააჩნდა.

ექსპერტის თქმით, სკოლამ შარშან გაიარა ავტორიზაცია 300 მოსწავლეზე. მას შემდეგ სკოლაში გაკეთდა ლიფტი, რომლის მეორე მხარესაც იყო სკოლის სარგებლობაში მყოფი აუთვისებელი ფართი, რომელიც გარემონტდა და მოეწყო საკლასო ოთახები.

სკოლაში 22 საკლასო ოთახი იყო, რომლებიც აღჭურვილი იყო მოსწავლის 286 ერთეული მაგიდითა და 276 ერთეული სკამით. სკოლას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება შპს

თბილისი სასკოლო ინვენტარის ფაბრიკასთან, მოსწავლის 140 ინდივიდუალური მერხის კომპლექტის დამზადებისა და 2018 წლის 1 სექტემბრამდე მიწოდების შესახებ.

საბუნებისმეტყველო ლაბორატორია განთავსებული იყო ერთ ოთახში, სადაც იყო გამწოვი. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება გამწოვი კარადის დამზადებისა და დამონტაჟების შესახებ. ლაბორატორიაში ხდებოდა წყლის მიწოდება. ლაბორატორიის გამოყენების წესი შემუშავებული და გამოკრული იყო თვალსაჩინო ადგილას, ყოველ სართულზე.

სკოლას ჰქონდა ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა (გენერატორი). სველი წერტილები ვაჟებისათვის და გოგონებისათვის განთავსებული იყო ყველა სართულზე. ადაპტირებული სველი წერტილი მდებარეობდა მეორე სართულზე, სულ იყო 9 სველი წერტილი ხელსაბანებით. ყველა საკლასო ოთახს ჰქონდა ფანჯარა კარგი ბუნებრივი განათებით. თუმცა ქუჩის მხარეს ოთახის კედლები იყო ვიტრაჟებით, რომლის გამოყენებაც არ იყო უსაფრთხო. სკოლის დირექციას გაეწია რეკომენდაცია, რის შემდეგაც მოხდა ხელშეკრულების გაფორმება 28 გისოსის დამზადების მიზნით, რომლის მიხედვითაც სამუშაო უნდა დასრულებულიყო 2018 წლის 10 აგვისტომდე.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, გაიხსნებოდა, თუ, არა გისოსები საჭიროების, მაგალითად შესაძლო ხანძრის შემთხვევაში.

სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გაითვალისწინებდა რეკომენდაციას და დაამონტაჟებდა მოძრავ გისოსებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებთან შეთანხმებით, სკოლას დაავალა შესრულებული სამუშაოების შესახებ ეცნობებინა ცენტრისთვის სასწავლო წლის დაწყებამდე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით

მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 400 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა ავტორიზციის სტანდარტებთან შპს იუჯი სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს იუჯი სკოლისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მესამე პუნქტისა და 34-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, იუჯი სკოლას (ს/კ:205258344) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

7. „შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School - ის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №33 გადაწყვეტილებაში და N 9 ოქმის მესამე ნაწილში, როგორც ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილში ცვლილებების შეტანის შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლალი შაიშმელაშვილმა საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №33 გადაწყვეტილებაში და N 9 ოქმის მესამე ნაწილში, როგორც ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილში და კენჭისყრის შედეგებში ფიქსირდებოდა შეცდომა, რაც საჭიროებდა ცვლილების შეტანას.

შუამდგომლობას დაეთანხმნენ საბჭოს წევრები და კენჭისყრაზე დააყენეს „შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School“ - ის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №33 გადაწყვეტილებაში და N 9 ოქმის მესამე ნაწილში, როგორც ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილში ცვლილებების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

შევიდეს ცვლილება „შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School - ის (ს/კ404965169) ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №33 გადაწყვეტილებაში და N 9 ოქმის მესამე ნაწილში, როგორც ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილში სკოლის სახელწოდება გადაწყვეტილებასა და ოქმში ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School" - ი. ასევე შევიდეს ცვლილება კენჭისყრის შედეგებში და კენჭისყრის შედეგები გადანაწილდეს შემდეგნაირად: 8 - მომხრე; 2 - წინააღმდეგი.

8. „ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 13 ივლისის №41 გადაწყვეტილებაში და №10 ოქმის მეექვსე ნაწილში, როგორც ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილში ცვლილებების შეტანის შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლალი შაიშმელაშვილმა საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 13 ივლისის №41 გადაწყვეტილებაში და №10 ოქმის მეექვსე ნაწილში, როგორც ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილში ფიქსირდებოდა შეცდომა, რაც საჭიროებდა აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილების შეტანას.

შუამდგომლობას დაეთანხმნენ საბჭოს წევრები და კენჭისყრაზე დააყენეს „ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 13 ივლისის №41 გადაწყვეტილებაში და №10 ოქმის მეექვსე ნაწილში, როგორც ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილში ცვლილებების შეტანის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,შევიდეს ცვლილება „ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის (ს/კ439860152) ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 13 ივლისის №41 გადაწყვეტილებაში და №10 ოქმის მეექვსე ნაწილში, როგორც ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილში და სკოლის სახელწოდება გადაწყვეტილებასა და ოქმში ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია“

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ 22:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე:

მანანა რატიანი

მდივანი:

თამილა ჩუბინიძე